

“სტაციონარული დაწესებულების სტაციონარულ სერვისზე პასუხისმგებელი პირის – კლინიკური მენეჯერის გადამზადების კურსი“

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N N9 სხდომის გადაწყვეტილებით (რს- 487)

სასწავლო კურსი განკუთვნილია ჯანდაცვისა და სადაზღვევო სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალობის ექიმისათვის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის რომელთაც სულთ ცოდნის გაღრმავება ჯანდაცვის მენეჯმენტის კუთხით

სასწავლო პროგრამაში განხილული პრობლემები შერჩეულია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით

პროგრამის მიზანი და ამოცანები:

მსმენელმა უნდა აითვისოს ჯანდაცვის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების მოქმედების თავისებურებანი სამედიცინო დახმარების დარგში, ამ მიზნით მსმენელმა უნდა:

აითვისოს მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების მოქმედების თავისებურებანი სამედიცინო დახმარების დარგში;

დაეუფლოს მოტივაციის პრინციპების გამოყენებას პერსონალთან და პაციენტთან მუშაობის პროცესში;

შემლოს დამოუკიდებლად განახორციელოს დაწესებულების ბიზნეს-გეგმის შედგენა.

შემლოს დამოუკიდებლად განახორციელოს კლინიკის ხარისხის მართვის გეგმის შედგენა და მისი განხორციელება.

გაეცნოს მოწინავე გამოცდილებას ჯანდაცვის მენეჯმენტის დარგში

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა:

- ჯანდაცვის კანონმდებლობა
- სტაციონარის ადმინისტრირების საკითხები; ;
- ხარისხის მართვის პრობლემები;
- ინფექციური კონტროლი სტაციონარში. H3ოსპიტალური ინფექციების პროფილაქტიკა;
- სტაციონარის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ბიზნეს-გეგმის შედგენა;
- სტატისტიკური ანგარიშგების თავისებურებები;
- სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა. მათი მოქმედების საორგანიზაციო პრინციპები. საყოველთაო დაზღვევის სისტემასთან და კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის საკითხები;
- სტრესული მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი და მუშაობის პროგრამირება, ფუნქციების დელეგირება, საჭირო საოფისო სისტემების დაგეგმარება.
- ადამიანთა ფაქტორის გამოყენება მენეჯმენტში: მუშაობის პროცესი, არჩევა, მომზადება, განვითარება, დისციპლინარული პროცედურები, თანასწორუფლებიანი შესაძლებლობები, საკონსულტაციო კონტაქტების ეფექტიანი გამოყენება.

- ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალი. ხელმძღვანელობა და ხელმძღვანელობის სტილი; მოტივაციის პრინციპები და მართვის პროცესში წარმოქმნილი კონფლიქტები

სწავლების მეთოდები

ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, ჯგუფური სამუშაოები, დისკუსია, სიტუაციური ამოცანების განხილვა, კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი ლიტერატურის რეფერირება, პროექტზე მუშაობა და მისი პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: დასწრება, ჯგუფური მუშაობა, დავალებები, წერიტი გამოკითხვა, ინდივიდუალური პროექტის მომზადება.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ:

- ჯანდაცვის სისტემაში არსებული მოთხოვნებისა და პრობლემების პროფესიონალურ დონეზე გააზრებას;
- სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას პრობლემების კვლევის საფუძველზე;
- პაციენტზე ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობების შექმნას.
- დაეუფლებიან მოტივაციის პრინციპების გამოყენებას პერსონალთან და პაციენტთან მუშაობის პროცესში;
- შეძლებენ დამოუკიდებლად განახორციელოს დაწესებულების ბიზნეს-გეგმის შედგენა.
- შეძლებენ დამოუკიდებლად განახორციელონ კლინიკის ხარისხის მართვის გეგმის შედგენა და მისი განხორციელება.

სასწავლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 150 საკონტაქტო საათს (ექვსი კვირა). მათ შორის 120 საათი განკუთვნილია ლექცია-პრაქტიკულებისათვის და 30 საათი პროექტის მომზადებისათვის და პრეზენტაციისათვის

სწავლება ხორციელდება კვირაში 3-ჯერ (შაბათის ჩათვლით) მსმენელებთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით.

კურსი ტარდება წელიწადში 6-ჯერ

პროგრამის განხორციელების ადგილი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 13) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ბაზა (თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6) და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აჭარის ფილიალის ბაზა (მახინჯაური) - აჭარისა და გურიის რეგიონში მომუშავე მენეჯერებისათვის.

მსმენელთა სასწავლო კურსზე ჩარიცხვა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად (უნივერსიტეტთან სათანადო კონტრაქტის გაფორმებისა და მის ანგარიშზე სწავლის ღირებულების გადახდის საფუძველზე), ასევე უნივერსიტეტის მიერ ცალკეულ ორგანიზაციებთან სათანადო კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე.

სწავლის ღირებულება 300 ლარი.

გადახდა წარმოებს საბანკო გადარიცხვის გზით და შესაძლებელია განხორციელდეს ორ ეტაპად. კერძოდ, სწავლის დაწყებამდე 150 ხოლო დარჩენილი ნაწილი სწავლის დასრულებამდე არაუგვიანეს ერთი კვირის/5 სამუშაო დღის განმავლობაში. კორპორატიული მსმენელებისთვის (ერთი დაწესებულებიდან 3 და მეტი მსმენელი), კურსის ღირებულება მსმენელზე შეადგენს 270 ლარს

მსმენელი იქნება უზრუნველყოფილი სათანადო სასწავლო მასალებით (როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე ქაღალდის მატარებელზე)

სასწავლო კურსის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა მსმენელის მიერ სწავლების წარმატებული დასრულების შედეგად გაიცემა სათანადო მოწმობა სასწავლო პროგრამის დასახელების და ხანგრძლიობის მითითებით.